ხელშეკრულება № 18

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ზესტაფონი 09 აგვისტო 2016 წელი

ა(ა)იპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელიბის სპორტული სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ანზორ სალაძის სახით და შპს "ოპტიმალი" შემდგომში "მიმწოდებელი" ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს

- კლასიფიკატორის (CPV)კოდი 322500000 – მობილური ტელეფონი

1 ცალი მობილური ტელეფონის - ერთეულის ფასი 150(ასორმოცდაათი)ლარი შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 150(ასორმოცდაათ)ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული ხარისხიანი საქონელი ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მისამართზე: ქ.ზესტაფონი რუსთაველის ქ. №8.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი საქონელთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მიღება ჩბარაები აქტის აქტის გაფორმებამდე აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 2 დღეში;

გ) სამუშაოს შესრულების პარალელურად, 'მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის"(საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი).

4. 2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

5. ხარისხი

5.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს.

5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), ასევე იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი დეფექტის მქონე საქონლის შეცვლა შეტყობინების მიღებიდან 2(ორი) დღის ვადაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

6.2 სქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით მომსახურების, ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი უფლებამოსილი კომისია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ზემოთარნიშნული მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) დღით ადრე.

13.2 ერთერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინებისა შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 10 აგვისტომდე .

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ს/კ	2	3	0	0	9	2	1	6	4

დასახელება ააიპ"ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სახელობის ხელოვნების სკოლა"
მისამართი ზესტაფონი რუსთაველის ქ№8
ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი: TRASGE

სკოლის დირექტორი

მ.ა.

ხელშეკრულების ვიზის ავტორი:

ნინო შავიძე

მიმწოდებელი

ს/კ	4	3	0	0	2	4	5	8	2		

დასახელება შპს ოპტიმალი"
ტელ; № 24 06 00
მისამართი ქ. ზესტაფონი აღმაშენებლის ქუჩა №71
ბანკი სს "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ანგარიში №GE34BG0000000321464600

მ.ა.

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. ზესტაფონი 09 აგვისტო 2016 წ.

საფუძველი: ხელშეკრულება №18

2016 წლის 09 აგვისტო

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს "ოპტიმალი" სახით და მეორეს მხრივ ზესტაფონის სპორტული სკოლა ვადგენთ წინაბდებარე აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შეასრულა მასზედ დაკისრებული მოვალეობა. კერძოდ

	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ფასი
1	მობილური ტელეფონი	1	150